№2160 2015 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის მოწონების, ინვესტორთა საბჭოს შექმნისა და მის საქმიანობასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №829 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის მოწონების, ინვესტორთა საბჭოს შექმნისა და მის საქმიანობასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №829 განკარგულებაში და განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიქმნას ინვესტორთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს პრემიერ-მინისტრი – საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი – საბჭოს წევრი;

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი – საბჭოს წევრი;

საქართველოს ფინანსთა მინისტრი – საბჭოს წევრი;

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი – საბჭოს წევრი;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი – საბჭოს წევრი;

საქართველოს ბიზნესასოციაციის წარმომადგენელი – საბჭოს წევრი;

ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენელი – საბჭოს წევრი;

ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს წარმომადგენელი – საბჭოს წევრი;

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელი – საბჭოს წევრი;

საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენელი – საბჭოს წევრი;

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი – საბჭოს წევრი;

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენელი – საბჭოს წევრი;

საქართველოში კერძო და საჯარო სექტორის განვითარებაში ჩართული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების არა უმეტეს 2 წარმომადგენელი (დანიშნული წლიური როტაციის პრინციპით) – საბჭოს წევრ(ებ)ი.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**